საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/18 "3" აგვისტო 2017 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების (გარდა საქართველოს უზენაესი სასამართლოსი) სისტემაში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 15 ივლისის №1/118 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია განსაზღვროს საწვავის ლიმიტები სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისა და შეუფერხებელი საქმიანობის უზრუნველსაყოფად სასამართლოს მოხელეების მიერ გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებებისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საწვავის გაცემა ხორციელდება ტალონების მეშვეობით.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი